ოქმი:**ო63.63221312**
თარიღი:**11/05/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. სამტრედია. 5 მაისი, 2022 წელი.

2022 წლის 5 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თავზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.

2. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს, ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.

3. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი’’-ს, ხელმძღვანელი, პავლე კაპანაძე. ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.

4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის’’, ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. დაგეგმვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

7. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე’’-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი’’-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

9. ტელე კომპანია ,,ზარი’’-ს წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხვალ 6 მაისია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქრისტიანული დღესასწაული. გილოცავთ, შეგეწიოთ წმინდა გიორგის მადლი. დარწმუნებული ვარ ერთიანობით ყველა პრობლემა ეტაპობრივად მოგვარდება და გადაჭრილი იქნება. გმადლობთ, გისურვეთ ჯანმრთელობას და წარმატებებს. ახლა კი გაგაცნობთ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი’’-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის

   გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის’’, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ- 63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 0 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

7. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.უღრელიძე/

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მ.სირბილაძე/

9. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 2 მაისის** N : 62-622212287, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტი იზრდება 10.00 ათ.ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.63213544 განკარგულებით დამტკიცებული 2022 წლის სუბსიდიის გეგმა განისაზღვრა 418.00 ათ.ლარით. სუბსიდიის გაზრდა ძირითადად გამოწვეულია დიზელსა და ბენზინზე, ბენზოხერხის და ბენზოცელის სათადარიგო ნაწილების, ასევე საბურავების და სპეც.ტექნიკის სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე რბილი ინვენტარის და უნიფორმის ფასების მატებით. აქედან გამომდინარე 10.00 ათ.ლარი გადანაწილდება შემდეგ მუხლებში, კერძოდ, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა გაიზრდება 4.80 ათ.ლარით, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯის მუხლში 3.00 ათ.ლარით, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით, კომუნალური ხარჯის მუხლში 1.20 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 2 მაისის** N62-622212290, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, რბილი ავეჯის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 2.00 ათ.ლარით და შესაბამისად საოფისე ავეჯის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 2.00 ათ.ლარით სკამების შესაძენად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 2 მაისის N : 62-622212291, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, სუბსიდიის გეგმაში შემოსავალი გაიზარდა 1.50 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი, კერძოდ კულტივირებული აქტივებიდან ცხოველური რესურსის (სპორტული ცხენის შეძენა) ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 1.50 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ- 63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 2 მაისის** N : 62-622212296, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა"-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ბიუჯეტი იზრდება 2.7 ათ.ლარით. კერძოდ, რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 1.8 ათ.ლარით, ოფისის ხარჯი კერძოდ, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში 0.40 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ- 63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ურრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 2 მაისის** N :

62-6222122122, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საჭიდაო კლუბი ფალავანი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 1.50 ათ.ლარით, შესაბამისად შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 1.50 ათ.ლარით. ცვლილება გამოწვეულია ქ.სამტრედია, ჩხეიძის ქ. N1-ში მდებარე სპორტული დარბაზის შეწყვეტილი სარეაბილიტაციო სამუშაოების გასანახლებლად, კერძოდ დარჩენილ საპროექტო დოკუმენტაციის (ხარჯთაღრიცხვის) შესასყიდად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 4.2 ათ. ლარით და ხელშეკრულებით განესაზღვრა 266.4 ათ. ლარის ოდენობით. შესაბამისად გაიზარდა (კოდი 04 02) ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 4.2 ათ. ლარით.

„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში შეტანილი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის N754 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა სულ **2,472.7** ათ. ლარით და განისაზღვრა 5,856.9 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა გაიზარდა 2,447.9 ათ. ლარით და განისაზღვრა 5,475.1 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება გაიზარდა 24.8 ათ. ლარით და განისაზღვრა 381.8 ათ. ლარით. მოცემული განკარგულების შესაბამისად შემცირდა (**კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა, სულ - 220,6 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 218,4 ათ. ლარი, ხოლო თანადაფინანსება - 2,2 ათ. ლარით და გაიზარდა (**კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა სულ - 1,640.8 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 1,624.4 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 16,5 ათ. ლარით და (**კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის** კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, გეგმა სულ - 1,052.4 ათ. ლარით; მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 1,041.9 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 10,5 ათ. ლარით. (იხ. დანართი N754 განკარგულება).

ასევე, გაიზარდა გადასახდელები 49,2 ათ. ლარით, კერძოდ:

- (**კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა 20,0 ათ. ლარით; (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით).
- **(კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 15,0 ათ. ლარით;

- **(კოდი 03 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა - 10,0 ათ. ლარით;
- **(კოდი 05 01 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის** სუბსიდიის გეგმა - 2,7 ათ. ლარით;
- **(კოდი 05 01 02 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 1,5 ათ. ლარით;

შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოთხი თვის შემოსულობების ანალიზიდან გამომდინარე გაიზარდა და მოწესრიგდა შემოსულობების გეგმა - 74,0 ათ. ლარით.

კერძოდ, ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - 20,0 ათ. ლარით;

- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 54,0 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 1659,2 ათასი ლარით.

სამ თვეში ბიუჯეტის მიმართ ერთჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 26137,1 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 7379,3 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 3567,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში რეკრიაციულ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად ასევე სოფ.დიდ ჯიხაიშში, ღანირში და კორმაღალში ა/ბეტონის საფარის დასაგებად გამოეყო - 954,2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე, დელეგირების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 40,2 ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი , საიდანაც განაწილდა 3916,7 ათ.ლარი, გასანაწილებელი დარჩა 130,7ათ.ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მარტის თვის შემოსავალმა შეადგინა 4923,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 52,2 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 3264,6 ათასი ლარი, რაც მარტის თვის გეგმის 86,3 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 3091,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა-89,0 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 35,6 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 21,1 %-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 137,1ათ.ლარი, გეგმა შესრულდა -97,4%-ით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV 4 22 00004262** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას. შესაბამისად, განხორციელდა სამართლებრივი ექსპერტიზა საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N30 დადგენილებებზე, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზი.

კერძოდ, განსახილველი N30 დადგენილების პრეამბულაში მითითებულია ძალადაკარგული საკანონმდებლო ნორმა - საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 156-ე მუხლის მე-5 პუნქტი აღარ მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან და შესაბამისად, კანონქვემდებარე აქტის გამოცემის საკანონმდებლო საფუძვლად მისი მითითება დაუშვებელია. ასევე პრეამბულიდან ამოსაღებია ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს'' მითითება და ჩასამატებელია ,,ნორმატიული აქტების შესახებ'', საქართველოს ორგანული კანონის სტატუსი და ტექნიკურად არის გასასწორებელი დანართი N1.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად გასწორდა ყველა ზემოთ აღნიშნული ხარვეზი. დანართი N1 ჩამოყალიბდა შემდეგი

,,დანართი N1

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი.

მუხლი 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა .

საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს

676,5 ლარით.

მუხლი 2. საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება.

1. პირველი მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურება მიეცემა საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის:

ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სხდომების საოქმო ჩანაწერებით.

ბ) საკრებულოს კომისიებში მონაწილეობისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სხდომების საოქმო ჩანაწერებით.

გ) საკრებულოს ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სხდომების საოქმო ჩანაწერებით.

დ) ამომრჩევლებთან შეხვედრისათვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს შეხვედრის საოქმო ჩანაწერებით (მოხსენებითი ბარათი).

2. საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თითოეული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, ხარჯების ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა შეუმცირდეს 15%-ის ოდენობით.

3. საკრებულოს წევრი (გარდა თანამდებობის პირებისა), რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობიდან არ შეასრულებს არც ერთ მოთხოვნას, ხარჯების ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული თანხა არ მიეცემა.

4. საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა,) ამ დანართის პირველ მუხლში მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯის ოდენობა მიეცეს გაწეული ხარჯისათვის, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსის მიერ, ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

5. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსი, მონაცემების საფუძველზე, ინფორმაციას (მოხსენებით ბარათს) ადგენს, როგორც წესი, წინა თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით არსებული მდგომარეობით. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საკრებულოს კონკრეტული წევრისათვის განსაზღვროს ხარჯის ანაზღაურების ნაკლები ოდენობა.

მუხლი 3. საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) ხარჯების ანაზღაურების დარიცხვა.

მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვიურად, ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის გათვალისწინებით, ახდენს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა, აკაკი მინაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ,,დღის წესრიგის დამტკიცების დროს იმიტომ არ დავარეგისტრირე ჩემი განცხადება, რომ ეს საკითხი არ ეხება არც რომელიმე პროექტს, არც დღეს განსახილველ რომელიმე საკითხს. უბრალოდ ქალბატონი ნინო (ტელევიზიის წარმომადგენელი) არ იყო მოსული და შეიძლება არც მესაუბრა ამ საკითხზე, მაგრამ საქმე ეხება სამტრედიის ტელევიზიას. მაინტერესებს თუ ნახეთ, ან თუ მოგეწონათ ტელეკომპანია ,,ზარი''-ს მიერ გაკეთებული წინა საკრებულოს სხდომის სიუჟეტი. მე ვიცი, რომ სიუჟეტებს აკეთებს ქალბატონი ნინო. წინა საკრებულოზე დაახლოებით 105 საკითხი იყო მოწონებაზე. აქედან დაახლობით 95 საკითხი იყო იმ ჩამონათვალში, რაც ქალბატონმა ნინომ დაასახელა. ოპოზიციას ქონდა თავისი მოსაზრება და შენიშვნა ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სიუჟეტის ყურების დროს ვერც კი იგრძნობდით, რომ სხდომაზე იყო ოპოზიცია. მე ამით შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. საკითხი, რომელზეც ჩვენ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია, საერთოდ არ გაშუქებულა. გთხოვთ, ქალბატონო ნინო, ნუ იქნებით მხარე და მიკერძოებული, გააკეთეთ ისე რომ სწორი მიმართულება ქონდეს ნებისმიერ სიუჟეტს.

სხდომის დასასრულს საკრებულოს წევრებმა, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნას.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი